

მთაგბე

კრობის უოველკვირეული
გაზეთი

შვირა 29 თებერვალი 1920 წელი ქ. მუხრანში

საქართველოს ხორხ რეისუბლიკას თავის დაბატება დიდი უბედურება. 20 ამ თვის მიწის ძვრამ ერთიანად დახვრია ქალაქი გორი და მის ახლო მასლო მდებარე სოფლები და რკინის გზის სადგურები. ათასობით და ათათასობით ხალხი დარჩა ქუჩა-სუ უბნით, უძულო, ტიტყვანი და მძიერ-მჭურვალნი, შრავალი სასაღების ნახვრეუბმა იმსხვერპლა. ნიუთიერი ზარალი აურაცხელია. მოგიწოდებთ თქვენ მხარში ამოუდგეთ მთავრობას ამ დიდი უბედურების გადატანში, მიიღეთ ზომები მთელი ხალხი დაეხმაროს ქართლის უბედულს ქ. გორს და დაქვეულ სოფლებს ადგილს ფერფლიდან, რომ არ წარძახოს ის საქართველოსი მკერდიან. მთავრობის დახმარება წვეთია გაჭირვების სდვაში. საჭიროა მთელი ხალხის დახმარება, მთელი ერის ამომრეგება და უძულო მოძქეათავის თავისი წყლიდის გადაება. დაუთინებლივ ბნითიეთ ეს ხალხს და შეუდებით გორის ფონდის შეკრთვებას. **გორი უნდა აღდგეს და კვლავ ქართლის გულად გახდეს.**

მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანი.

29 თებერვალი.

ქ. კორეების ნიშით ხიართლელ გონდესი და სოფთაოლი მომწიფა ვალთ სამშობლო შენი მარად გამოსდეს თუ ეს ასურს გადელ ამინდამაღა.

მამია.

ჩვენი მრავალ ტანჯული სამშობლოს ციკიდური შავით მოიღრუბლა. კვაფირუბ ხმელეთ

ზურმუხტის გამზენ ბუნებას თითქოს შეეხარბა მისი გაჩენილი ქვეყნის მშვენება და მხაკერული შურისძიებით ჩასვა მახვილი ახლო ფეხ-ადემულ საქართველოს.

მოულოდნელმა მიწის ძვრამ განგზირა ქართლის გული რ საუკუნოების განმავლობაში მრავალი ათობის მიერ შექმნილი ყოფა-ცხოვრება ერთ წუთში გაგულა დელო ქვესკნელში.

ქართლის დედა ქალაქი გორი და მის ახლო მდებარე სოფლები ერთიანად დანგრეულია. ათასობით და ათი ათასობით შიშველ-ტიტყველი, შიშვირ-შეყურავალი ხალხი უბნით, უსურსათით და უტანასცლოთ იმედაკრუებული, დაბნული, შეშინებული დაღვრება ქუჩებზე.

ჩვენი სამშობლოს აღდგომის და ეროვნულ დამოუკიდებლობის მტრებს, საქართველოს რესპუბლიკას რომ გარშემორტყმინა, მუხანათ იღდა - გამცემლებს, ჩვენდა სამტრით და სალატრით რომ შინ დაგვბუდებინა, თითქოს ბუნების მრისხანებას შეუკავშირდა.

გულ-დაკოდილ ქართლს მწუხრის ჩვეარი გადაეფარა. ჩვენი საყვარელი რესპუბლიკის დროშას ერის ღრმა მწუხარებამ გლოვის ნიშანი გაკრა.

ქეშმირითა დლია მწუხარება ქართლისა, მგვრამ კიდევ უფრო დიდა ამ მწუხარების გამწელე-ბელი ენერგია ჩვენი ერისა.

ჭირსა შიგან გამგარება ისე უნდა, ვით ქვიტიკისა. — ასე სთქვა ჩვენი ეროვნული გენიალოზის გამომხატველმა შოთამ.

საქართველო ჭირშია ნაშობი და ნაწრთობი. მან ბევრი ვი-ვაგლანი გადიტანა და გადიტანა სწორეთ იმბიტო, რომ ჭირში გამგარება ქართველი ხალხის ერთნაირი ბუნებრივი თვისებაა. —

მან მრავალი დაბრკოლება სძლია, მრავალი მტერი შემუსრა მტკიცე კავშირზე დამყარებული ღონით და მოხერხებით, მრავალ ხიფათს გადარჩა.

ის ამ განცდასაც გადაიტანს.

მომხეთა სიყვარულით გამსჭვალული ერთი ქართლის დაკადილ გულს ცლავ გაამრთილებს, ცლავ აღადგენს, მოღუღუნე მტკერის მიერ პირნაბან გორს, უფრო მშვენიერს, უფრო ძლიერს, უფრო მოძრავს და ღონიერს.

მოსაქალაქმნე! თქვენი რჩეული მცხოვანი წინამძღვარი ნ. ყორღანია მოგიწოდებს რესპუბლი-

კა განსაძღვლით. ისმინეთ მოძღვრის სიტყვები! უბნეთ გაიღეთ შემოწირულება განსაძღვრისათვის მეთა სასარგებლოთ!

ლილ. **გორი უნდა აღდგას ხალხის შემოწირულობით და კვლავ პართიის გულათ გახადოს.**

„გურიის პრობის მოაზგის“

შენ ზირველი მერცხალი ხარ
 გურიანა დახაბადი;
 გუგუნიის ნორხსა, ზაქაწინას,
 დიდებრ ფრთის ძლი და ნაჯრდი.
 ძღუერი მწუთბრათ და ცხოვრებას
 ჩაჭკირეიტებს, ვითა ბრძენი;
 სინამდვილეს იგლევე; აზრევე;
 გსურს წყვიდიდის დახმო ბჭენი.
 შენ ერთბას ხალხს აუჯარებ,
 გსურს გაჭკურნო მისი წულული;
 შენ ზირველი მერცხალი ხარ
 საკაცებორო მოციქული.
 გხას უკვალავ ჩვენს ნორხს თეძებს
 მშვენიერი შიამჯლისას;
 სიუფარულით სიფხავ ხალხში
 მარგალიტებს წმინდა წულიხას.
 შენ გურიის მშრომელ ხალხსა
 უკანჩახეი შრომის წესებს
 და განარებს თუ კი იგი
 ბედსა გაიკვირეებს...

მაშ განაგრძე უფრო მტკიცედ
 მწუთბორი ძღურა და ნაჯარდი,
 რომ ხალხის გზა აუჯავილდეს
 და ამკობდეს ია-ჯარდი.
 მაშ იცოცსლე, რომ გუასმენდე
 კიდევ დიდხანს სიტუვას ძლიერს;
 გაუმარჯოს შენს სიძღურას
 და შენს შრომას ნაყოფიერს!.

გ. ლადოვილი.

საუბარი გვითხვალთან.

VIII

კათაქმეველით, განგედათ!

გვი არ არის მკითხველო ეს სიტყვები თქვენ მოგვაროდებათ. ეს სიტყვები ყველა წირვის დროს უნდა ითქვას ჩვენს საქრისტიანო ეკლესიაში მღვდლის ან მისი თანამშრომელი ღიაკენის მიერ. სიტყვა კათაქმეველი არის ბგრძნული ენიდან და ნიშნავს არა მართლმორწმუნეს. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ყველა ის, ვინც არ არის მართლმორწმუნე ქრისტიანი ეკლესიაში მყოფთა შორის უნდა გამოვიდეს მართლმორწმუნეთა ეკლესიიდან და გაშორდეს მას.

თუ სარწმუნოება და ისიც ქრისტიანი, რომელიც ძველთაგან გადმოცემით შოგლენილ იყო ამ ქვეყნით ტვირი-მძიმეთა და მაშვრალთა მოციქულთა და რომელიც ურწმუნო და მოლაღატე გამცემ იუღებსაც კი უტავებდა მათს უსასტიკეს დანაშაულს, საჭირო სცნობს, რომ განწმინდოს თავისი ეკლესია, ანუ ნორწმუნეთა კრებულო, ურწმუნოთაგან, როგორ უნდა იქცეოდეს სახელმწიფო?

სარწმუნოება ერთიანად საიქიო ქვეყნის მადიებელია, ამ ძიებაში ყველა პიროვნება უაღრესათ თავისუფალი უნდა იყოს. პოლიტიკა კი ამ ქვეყნის პირ-გარამის მადიებელია, ცხოვრების სინამდვილის მკვლევარია. ამიტომ სარწმუნოების გამოშმატველი ეკლესია შეიძლება იყოს თავისუფალი, ის უგზავლავ უნდა იყოს თავისუფალი. შილატაკის გამოშხატველი სხელმწიფო კი არ უნდა იყოს თავისუფალი, ის არ შეიძლება იყოს თავისუფალი თავის განვითარებაში, სწორეთ ისე, როგორც არ არის სრული აბსოლიუტური თავისუფლება დამყარებული ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში.

ეკლესიის შეუქლია ურწმუნო განდევნოს თავის წირიდან და ამით დაქაყოფილდეს, სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციის, არ შეუქლია დაქაყოფილდეს თავისი მოწინააღმდეგის მარტო განდევნით, ის უმეველში უნდა კიდევაც

სჯილდეს მას და ისე სჯილდეს, რომ ეს სასჯელი სხვისთვის სამგალოთო გამოდგეს.

ეკლესიის უნდა ჩამოშორდეს იძულებითი უფლება, სახელმწიფო ერთიანად ამ იძულებითი უფლებაზე უნდა ეყარებოდეს.

ჩვენი გვაქვს უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის სახელია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს სახელი დაარქვა მას ქართველი ხალხის უდრეკმა ნებისყოფამ, რომელიც გამოიხატა ფარული, პირდაპირი, თანასწორი და საყოველთაო ხმის მიცემით. ჩვენი დამფუძნებელი კრება არის სრული პატრონი ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაც აქედან უნდა იწყებოდეს.

სახელმწიფოს უმთავრეს დამახასიათებელ თვისებათა ითვლება ძალა-უფლება, რომლითაც ის უნდა იმართებოდეს. უფლება მაშინ არის ნაყოფიერი, როცა ის მტიკვე ძალაზეა დამყარებული.

ყველა ის დავა, რომელიც ტრიალებდა ჩვენში იმ საკითხის გარშემო, თუ რა ფორმის მართვა-გამგეობა შემოგვედო, სახელმწიფოს რა გვარი შენობა აგვევო, უკვე გადაწყდა დამფუძნებელ კრებაში.

ორგვარი მტრები ყავდა ჩვენი სახელმწიფოებრივობას: გარეშე და შინაური, ამიტომ ბრძოლა ორ ფრონტზე სწარმოებდა. ვავიშარჯვეთ ხელ-ჩართულ ბრძოლაში გარეშე მტერთა წინააღმდეგ. ვამართლდა ჩვენი საგარეო პოლიტიკა და უმთავრესად იმიტომ გამართლდა, რომ ის ერთიანად იყო დაყრდნობილი შინაური ძალების სწორ ანგარიშზე, შინაური პოლიტიკის სისწორებზე.

ჩვენმა საშინაო პოლიტიკამ არა მარტო დამარცხდა და სახელმწიფოთა დასამარცხ მარჯვნიდან მოვლინებული მტრები რევოლუციისას: თითოშპრობელობის ფინჩხაზე აღზრდილი ჩინოვნიკობა, მემამულენი, ბრწყინვალე წოდება და მათი ამჟღინი, არამედ ხსნა რევოლუციისა ვგრეთ წოდებულ გამემარცხენებისაგან და საბოლოოთ გაირიყა ბოლშევიკები და მათი ამჟღინ-დამჟღინი.

თუ წარსულ რევოლუციებს ჩვენ ოდნავ მაინც გადავავლებთ თვალს შეგვაჩნევთ ერთ ნიშნობლივ გათვრებას: რევოლუციების დამარცხება სწორით იმ წუთიდან იწყებოდა, როცა ის თვალზედულათ თითქოს გადაჭარბებით იხრებოდა მარცხნივ და როცა ჩვენი რევოლუციის ხელმძღვანელთა ლოზუნგი: არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, მტკიცავთ რევოლუციის მონაშთაზე—იმდენათ შეინისხლბოროცა ჩვენმა დემოკრატიამ, რომ არა ერთხელ დაღვარა სისხლი მისთვის, ამაჲ ისე განამტკიცა

ცა ჩვენი შინაური მდგომარეობა, რომ თითო უდიდესი სახელმწიფოებრივ კი აიბოლა მტრებისაგან: ეწისა ამ გარემოებისათვის და ეცნო ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობა და რაც ყველაზე უფრო სანტიერესოა ეცნო ის დემოკრატიული რესპუბლიკის სახით.—

ჩვენი ქვეყნის სამედნიერთა სასტიკათ დამარცხდა ბოლშევიკების ტაქტიკა. ბოლშევიკები სწორით იმ დროს აწყობდენ ამბოხებას ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, როცა ჩვენი ქვეყანა გარეშე მტრისგან უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა.—რუსეთში გარეშე მტრის წინააღმდეგ მებრევიკები უერთდებოდენ კომუნისტებს. ჩვენში კი გარეშე საფრთხის დროს ჩვენი ბოლშევიკები მუხანათობად სცემდენ იარაღს ზურგიდან ჩვენს ხალხს—აასეთი ვერაფერი პოლიტიკით აშკარა საბუთი მისცეს ჩვენს ხალხს, რომ ბოლშევიკები არ არიან ჩვენი ქვეყნის შვილნი. მათი პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის განადგურებას და მტრების გამარჯვებას ემსახურება.

აგრეთვე სასტიკათ დამარცხდა ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ჩრდილოეთისკენ მოქცირალნი. იმათაც ვაუტურუვდათ იმედი, ვინც ჩვენს საქართველოს „უკუპოზუნოვ გასულდარსტვის“ ეძახდა. ეს „უკუპოზუნოვ გასულდარსტვი“ იმდენათ მაინტიერესო და საიმელო გამოდგა ეკონომიური სიმდიდრით და პოლიტიკური ძალებით, რომ უდიდესი სახელმწიფოები ერთი მგორეს ეცილებიან მის მგვობრობაში. სხვაზე ფრთხილი ინგლისი მილიარდობით პირდებდა მას სესხს და ეს დაპირება მარტო დაპირება კი არა სინამდვილეა.

ზედი ზედ მოტყდა ის ტოტები, რომლებზედაც უდებოდენ ჩვენი პოლიტიკის მოწინააღმდეგენი მარჯვნიდან თუ მარცხნიდან.

ამის გამო სახეს იცვლიან ჩვენი შინაური მტრები, დღეს სხვა მორათულობით ეკაზებებიან ისინი, არ უშეგვენ შემთხვევას, რომ ხალხის მძიმე მდგომარეობა გამოიყენონ მთავრობის მარცხაღმდეგე იარაღათ. იწუებენ მიწის რეფორმას, გადასახადის სისტემას, ერთობას და თვისი მოღვაწეობას, მილიციას „სტრატეგიით“ ნათლავენ, ხელს უშლიან მის მუშაობას და რადგანაც დაწუნება უფრო იოლია ვიდრე გაკეობა და რადგანაც ჩვენი ხალხი, ფართე მასსა, უკრ კიდევ არ არის იმდენათ მოწიფებული, რომ საკუთარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ყველა საქარო გარემოება რომაინათ ასწონ—დასწონოს, ამიტომ ალოგალეგისიკ ებმება ამ ანკესზე, ირყევა, ქანავობს და ეს

დაიქვიანება კი ნიადაგს უზმადებს ჩვენი ქვეყნის დასახლებას.

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ მილიცია დაუმორჩილა ერობის კანტროლის და დაქისრა ერობის მარათელობის ფუნქციები. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივთა წეს-რიგის დაცვა და ცენტრალური მთავრობის დადგენილებათა განხორციელება ერობასაც ევალება. ეს ვალდებულება თემზეც გადადის.

ჩვენი შიგერ კიდევ ბევრია ჩვენი სახელმწიფოს შინაური მტერი. ჩვენი რესპუბლიკის, ამ დემოკრატიის ოჯახის, ასეთ სამიშ მანვე ელემენტებისაგან გაწმენდა წმიდა მოვალეობას უნდა შეადგენდეს არა მარტო მილიციის, ერობისა და თემის, არამედ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ნამდვილი გულშემოტიკივარი მოქალაქისაც.

ჩვენი რესპუბლიკის და დამოუკიდებლობის დაცვაში ერობა, თემი, მოქალაქე ყველა თავის ადგილზე უნდა ვიყოთ, ყველამ ერთსულოვნად უნდა შევსებათ ჩვენი ძლიერმოხილი დემოკრატიის შინაური მტრებს—კათაკმეველთა, განუვალთ—

გაქ. ღლანტი.

გ ა მ მ ე რ ო ბ ი ს დ ა დ გ ა ნ ი ლ ა ბ ი ა ნ ა :

— სამხედრო ვალდებულება (1888,—9.—90,—91,—92,—93,—94,—95, და —96 წლებში დაბადებულთა) რევიტრაცია მოხდეს უბნებში—ჩოხატაურში—ამ რაიონის სამხედრო ვალდებულებათვის და ქ. ლანჩხუთში—ამ რაიონის ვალდებულებათვის.

— დამტკიცებულ იქნას ოზურგეთის თემის სამკოს ხმოსანთა არჩევნები, ვინაიდან მასში სავსებით დაკულია კანონით განსაზღვრული წესები.

— 17 თებერვლისთვის მოწვეული თემთა ყრილობის დღის წესრიგში დისცვას შემდეგი საკითხები:

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. თემის საბიუჯეტო უფლებები.
3. ერობის საფებურები.
4. თემის ორგანიზაცია.
5. ნატურალური ბეგარა.
6. ვაზ. ერობის მოამბის შესახებ.

— 1 მარტიდან ა. წ. მოიხსნას საბთოს, ხიდის-თავისა და შემოქმედის სკოლებთან არსებული საფფიქტორები.

— თანახმად სკოლების მთავარი ინსტრუქტორის ვოგუაძის მოხსენებისა.

1. მიმდინარე წლის სექტემბრიდან არც ერთს უცნებო მასწავლებლებს არ ექნეს ალაგი მაზრის სასწავლებლებში.

2. მოეწყოს მიმდინარე წლის სმთვიანი კურსები მასწავლებელთა მოსამზადებლად. მოეწყოს დაწესებითი, ისე უმაღლეს დაწესებობის მასწავლებელთათვის. დაევალოს განათლების განყოფილებას წარმოუდგინოს გამგეობას სრული მოხსენება კურსების შესახებ ხარჯთ-აღრიცხვით.

3. მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება სასკოლო ამმენებლობას, მიეცეს წინადადება განათლების განყოფილებას ტენიკური განყოფილებასთან ერთად შეიმუშავოს სასკოლო შენობის გეგმა, როგორც დაწყებითი, ისე უმაღლეს დაწესებითი სასწავლებელთათვის.

4. ცენტროს ყველა თემების გამგეობებს, რომ სკოლისათვის ალაგის არჩევა და შენობის დაწყება განათლების და ტენიკური განყოფილების შეფუძვნებით და ნებადაურთველათ უკანონოთ ჩათვლება.

ს ა მ მ ა რ ო ე რ ო ბ ი ს ბ ა ნ ა მ ა რ ბ უ ლ ე ბ ი დ ა ნ :

მ ა რ ო ნ ი მ უ რ ი ბ ა ნ ა მ ო ვ ი ლ ა ბ ა :

მოწერილობით 1919 წ. 15 სექტემბერს № 377, 3 დეკემბერს № 509 და 4 დეკემბერს № 511-ით სამაზრო ერობის ეკონომიური განყოფილება, თანახმად სამაზრო ერობის საერობო ყრილობის დადგენილებისა 22 ნოებრიდან 1919 წ. სთხოვდა მაზრის ყველა თემების გამგეობებს, რომ წარმოეღვინათ სიები ფონდის მიწებიდან არჩეულ ნაკვეთებისა საცელ და საჩვენებელ მინდვრებისათვის და აგრეთვე სიები იმ ქობიანი ადგილებისა, რომლებიც იმყოფება თემის ფარგლებში და საჭიროა მათი გაშრობა. დღემდის მაჩვენებელ ნაკვეთების სიები წარმოადგინა შემდეგმა თემებმა: ნანეთილი-სეთლის, ჩოხატაურის, ჯურუყვეთის, დგაბუს, ძიძითის, ლანჩხუთის, აკეთის, ნიგოითის, ჩოჩხათის, სუფსის, მიქეთის, ჩიხათის, ასკანის, ამაღლების, შუბუთის, მიქელ-ვაბრიელის და ხვარბეთის თემებმა.

ან წარმოადგინა:

ასკანის, ხიდისთავის, ერკეთის, ზემოხეთის, სურბის, ბაბვის, შემოქმედის, ლიხაურის, გურიანთის და ნავაგორის თემებს. —

ჭ ა ბ ა ბ ა ნ ა ა დ გ ა ლ ე ბ ა ს სა ე ბ ა წ ა რ მ ო ა დ გ ა ნ ა ს :

ჩიხათის, ჯუმთის, შუბუთის, ლიხაურის, ხვარბეთის, ნიგოითის. ნავაგორის, სუფსის, აკეთის, ბაბვის, სურბის, ასკანის, ასკანის, ნანეთილისსეთლის და შემოქმედის თემებმა.

ან წარმოუდგენათ:

ამილგების, ჯურჯუეთის, ჩოხბათის, ხიდისთავის, ჩოხატაურის, ერკეთის, ზემოხეთის, დეაბ-ზუს, გურიანთის, მიქელ-გაბრიელის და ძინითის თემები. —

აგრეთვე ზოგიერთი თემების შემადგომლობაში კულტურულ ნაკვეთების შესახებ, რომელიც შემოსულია ერობაში, არ არის სრული ცნობები, ამიტომ ვსთხოვთ დამატებით გვაცნობონ შემდეგი დანამდვილებული ცნობები: 1) დასახლება მიწის, 2) დასახლება სოფლის, რომელშიაც ნაკვეთი იმყოფება, 3) ნაშღვლი რაოდენობა მიწის, 4) რა საჭიროებისათვის თხოვნილობენ მიწის 5) სახელი, მამის სახელი და გვარი ყოფილი მებატრონებისა. —

ერობის ეკონომიური განყოფილება აცხადებს იმ თემების გამოგობების საყურადღებოთ, რომელთაც ზემოთ მოხსენებული სიები არ წარმოუდგენიათ, რომ წარმოადგინონ მოთხოვნილი ცნობები ერობაში არა უგვიანეს ამა წლის 5 მარტისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ერობა პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან.

თემის ტხოვრებადან

დაბა სუფსა. (სკოლების რევაზია სუფსის თემში)

31 იანვარს 1920 წელს სუფსის თემში გვესტუმრა ოზურგეთის სამხარო ერობის განათლების განყოფილების მთავარი ინსტრუქტორი ბნი გ. ვოგუაძე. იმ დღეს იქნა მის მიერ დათვალადიებული სუფსის თემის აბალ სოფლის სასწავლებელი. ვინაიდან იმ დღეს სიგვიანის და ძლიერ ცუდი ამილდის გამო აღარ შესწობიდა სხვა სკოლების დათვლიერება ბ. ვოგუაძის ინიციატორობით სლამოს ექვს საათზე მოწვეულ იქნა ყველა ადგილობრივ სკოლების მასწავლებელთა კრება. ასეთი კრებები ხდებოდა სუფსის მალაღაწეებითი სასწავლებლის დარბაზში სამი დღის განმავლობაში ყოველ საღამომობით სისტემატორათ. ლამის ათ საათამდე იმავ სასწავლებლის გამგის ქრისტეფორე კუჟაყმაძის თავმჯდომარეობით.

კრების გახსნისთანავე იქნა შემუშავებული წესრიგი:

1. რვეულების გადასინჯვა 2, სასწავლო საგნების გადაცემის მეთოდის გადასინჯვა. (ა) ბუნების მეტყველების, (ბ) ანგარიშის, (გ) გეომეტრიის, (დ) ქართულის (ე) გეოგრაფიის და სხვა. ჰირველ კრების სხდომაზე ბ. ინსტრუქტორის ფრიად მნი-

შენილოვან წინასიტყვაობის შემდეგ გადასინჯულ იქნა ყველა განყოფილებების და უფროსი კლასების რვეულები, რომლებიც მასწავლებლებმა წინასწარ ჰქონდნენ მოტანილი კრებაზე. გაიშარათ საუბარი ბ. ინსტრუქტორისა და მასწავლებელთა შორის წერი-თი ვარჯიშობის და მისი მასლის დამუშავების შე-სახებ. თვითველ მასწავლებელთა მოხსენების შემდეგ ინსტრუქტორმა შემდეგი დარიგება მისცა. ჰირველ განყოფილებიდანვე აუცილებელი საჭიროა მოწადის მიერ თავისუფალი ახრის გამოთქმა წერის დროს. უფროს კლასებში საჭიროა წინასწარი გაცნობა და დამუშავება ამა თუ იმ მისაცემ თემისა, რომ მოწა-ფემ შემდგომად არ დაუშვას რვეულში. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენის გამოთქმას და მის სისაღეს. აუცილებელ საჭირო-ებას შესადაც კვირამ, ერხობა მიანიც შემოღებულ იქნეს ზემოთ რვეურებზე ენის დასამუშავებლათ. რვეულების გასწორება წითელი მელნით ბ. ინსტრუ-ქტორმა არ სცნო სასურველათ, ვინაიდან წითელი მელნით გასწორებული შეცდომები იპურობს მოწა-ფის ყურადღებას და აღრმავეებს მასში ამა თუ იმ შეცდომის დამახსოვრებას. შეცდამები რვეულში უნდა ინიშნებოდეს რაიმე ნიშნებით თვით მასწა-ლებლის სახელმძღვანელოთ მათი (შეცდომების) ახსნა განმარტებისათვის. საგნების სწავლების გამარ-ტების დროს განსაკუთრებული ყურადღება ინსტრუ-ქტორმა მიაკცია ბუნების მეტყველებისა და სხვა საგნების მეთოდურ მხარეს განსაკუთრებით გეო-გრაფიის და მათემატიკის სწავლება მისი რჩევით უნდა სწარმოებოდეს თვალსაზრათ, რათა მოწაფე-ებმა იქონიონ მათზე საგნობრივა წარმოდგენა. — მასთან ბ. ინსტრუქტორმა ჩამოიარა სუფსის თემის ყველა სასწავლებლები და დაესწრო თითოეულ კლა-სში ყველა საგნების ვაკეეთობებზე. —

სერთოდ სუფსის რაიონში ინსტრუქტორის მოგზაურობა უნდა ზაითვალდოს ნაყოფიერად და თუ ასეთი ნაყოფიერი მოგზაურობა ინსტრუქტორისა ხშირათ მოხდება, მაშინ სასკოლო საქმე ძლიერ ჩქარი ნაბიჯით წავა წინ.

6. ნაკაპე.

გურიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა მიმართ.

ამხანაგებო!

ჩენი სამშობლო კულტურულ კაპობრიობის ოჯახის სრულუფლებიან წევრათ ჩირიცხა ჩენს ერს ვასკეცებული შემოქმედებით ენერგიის გამო-ჩენა ესაჭიროება, რომ კულტურულ-ეკონომიურ

განვითარებით მაგრად მოედგას ფეტი თავის მიწა-წყალზე, შეინარჩუნოს და განამტკიცოს მწვავე ბრძოლით მოპოვებული თავისუფალ არსებობის უფლება. უნდა აღვიჭურვოთ უშიშროების წინაშე, შეგნებით, შემოქმედების უნარით, უნდა გარდაექმნათ ცხოვრება.

და ცხოვრების გარდაქმნა—ახალი თაობის საღ-პრინციპებზე აღზრდა-მომზადების საშუალებით—ხომ სკოლის საქმეა. გარდაქმნილი, გაჯანსაღებული სკოლა სოციალურ ცხოვრების გაჯანსაღების თავღებია.

ჯურის სკოლების ნაწილობრივმა დათვლიერებამ დამარწმუნა, რომ ჩვენი სკოლა, მიუხედავით მასწავლებლობის უდიდესი ნაწილის მუყაითი მუშაობისა, ჯერ არ აღვია გაჯანსაღების გზას: ცვლილება მარტო იმაშია, რომ ქართულ ენას მოუბეჭდოს შიგ ალაგი; სწავლობენ სიტყვას და სიტყვით და არა მოქმედებას და მოქმედებით. მე ამის თვით სრულებით არ განმიხრახავს უსაყვედურო მასწავლებლებს—ჩვენ არც სასწავლებლებში და არც შემდგმ არ გვექონება საშუალება და უფლება ვავსწრობოდით ახალს გზებს და გამოვჩინა უნარი კვლევის, შემოქმედების, ვიყავით და ახლაც ვართ ნივთიერად შევიწროებული, რაც არ გვაძლევდა და არც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ და ვიზრუნოთ საზოგადო და პედაგოგიურ ცოდნის გაფართოებაზე.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მასწავლებლობა ათას-გვარ გაჭირვებას მიიხვეწვით და დამუშავდება სულით, მასში არ დაშრეტულა ფერგია და წყურვილი ამაღლდეს და გაანაყოფიროს თვისი დიდშინი მგვლელია ვირომა.

დემოკრატიულ მთავრობის და გრობის შეძლების აღმშრეტელა ჯერ-ჯერობით ჩვენი ყოველმხრივი უზრუნველყოფა—ნივთიერი თუ სულიერი.

ამიტომ უნდა დავეყრდნოთ საკუთარ ძალას, გამოვიჩინოთ ინიციატივა, გავფართოვოთ ცოდნა—თეორეტიული და პრაქტიკული—და შეუდგეთ სკოლის გადამაღლისებას. მოწინავე ქვეყნებში მასწავლებლები ჰქმნის სკოლის, იკვლევენ ახალ გზებს პედაგოგიაში, გამოცდილებიდან და დაკვირვებიდან აყენებს ახალ მეთოდებს. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვართ სკოლის პატრონი, ჩვენ ვართ მისი სულის ჩამდგმელი, ჩვენ ვარწევთ მომავლის აყვას.

საჭიროა ხშირად ვიკრიბებოდეთ ერთად, უზიარებდეთ ერთმანეთს თავის აზრებს და გამოკვლილებას; რაც შეიძლება ხშირად სანიმუშო. ვაკეთი-

ლების მიცემა და ვარჩევა, კოლექტიური კითხვა, რეფერატები, მსჯელობა თუ შესადრქმელად შექციების მოწყობა ადგილობრივად—ყველა ეს საუკეთესო საშუალებაა საზოგადო და პროფესიონალური ცოდნის ვალრმაყება—გფართოებისათვის.

არა ნაკლებ სასარგებლო და საჭიროა მასწავლებლებში ეხმარებოდენ ერთმანეთს პრესის საშუალებით—ამისათვის ჩვენ გვაქვს ეურნალი „განათლება“. ვარდა ამ ეურნალისა, ჩვენ, ჯურის მასწავლებლებს, შევეძლია ვისარგებლოთ „ჯურის ერობის მოამბის“ ფურცლებით. ჩვენი ერობა სახალხო განათლების საქმეს თავის მოღვაწეობის უმთავრეს საგნად სთვლის, ამიტომ სკოლის კითხვებს განეთში საპატიო ალაგს დაუთმობს,—ჩვენი მოვალეობაა მხოლოდ ვისარგებლოთ ამით.

ვისწროთ პირადი შთაბეჭდილება—დაკვირვებიდან, შევებოთ პრინციპიალურ და უფრო პრაქტიკულ ხასიათის კითხვებს, რაც შეიძლება ფართოდ გამოვაშქარავით ჩვენი სკოლის აუკარგი, ვეძიოთ ახალი გზები. სანიმუშო გაკვეთილების მოკლე ანგარიში, რეფერატის, ლექციის, კოლექტიური კითხვის, მასწავლებელთა კრების—ყველა ეს სასარგებლო მასალა იქნება. „ჯურის ერობის მოამბე“, შეძლებისდაგვარად, სტუმართ-მოკვირვობით დახედება.

გ ა ნ ა ლ ე გ ა გ ზ ე ბ ა

მამრის მილიყის უფროსის განკარგულებიდან:

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 20

10 თებერვალი 1920 წელ. ოზურგეთი.

8 ამა თებერვალს სად. ნატანებში ქ. ქუთაისიდან ჩამოვიდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესია, რომელიც მოემგზავრებოდა ქ. ოზურგეთში საქმეების გასარჩევად. ვინაიდან სესიის ჩამოსვლაზედ ცნობა წინდაწით მქონდა. მე ტელეგრაფით ვაცნობე სად. ნატანების პოლიციის სადარჯოს უფროსს პოდპორუჩიკს კვერჩხელაძეს. რომ მას აღმოეჩინა მათთვის ყოველივე დახმარება. მიუხედავით ამისა კვერჩხელაძემ არაქ თუ არ აღმოუჩინა ოლქის სასამართლოს სესიას ქალ. ოზურგეთში წამოსვლის შესახებ დახმარება, არამედ სრულიად ყურადღებაც კი არ მიაქცია მას; თუმცა სად. ნატანებში იმ დღეს, კვირას, იყო ფაიტონიც და მარხილიც რომლებითაც სხვა მგზავრები წამოსულიყვნენ. სესია კი დარჩა ნატანებში კვირას, ჩამოვიდა ოზურგეთში მეორე დღეს, ორშაბათს, ცხრა ამა თებერვალს

ნაშუადღევს და ამ რიგით ქალ. ოზურგეთში სესია არ შესდგა. გაბრუნდა უკანვე 10 თებერვალს. ასეთი დაუდევრობისათვის სამსახურის ასრულებაში ნატანების მილიციის სადარაჯოს უფროსს პოდპორუჩიკ კვერცხელიძეს უცხადებდნენ სამსახურის სახელით სასტყევედ უსყვედურს. ასლი ამ ბრძანებისა გვეგხვავს ნატანების მილიციის სადარაჯოს უფროსს პოდპორუჩიკ კვერცხელიძეს და წარედგინოს სამხარო ერობის გამგებანს და ყველა უზენების და ქალაქების მილიციის უფროსებს.—

ბმა თემიდან.

თითქმის ექვსი თვე იქნება გასული მას შემდეგ, რაც ოზურგეთის სამხარო ერობის გამგეობა შეუდგა გურიის თემების გამოჭრას. ბევრ თემში იყო დავა ცენტრის გარშემო, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოთ ამ ბოლო დროს ამ დავასაც ეღება ბოლო.

ეს ხუთი ექვსი თვე, რომ კაცმა თქვას, არ არის იმდენი დრო, რომ ამ დროს განმავლობაში ერობის მოღვაწეებს შესძლებოდა ყოველივე იმის გაკეთება, რასაც ავალეხს მათ ერობის შემოღება ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. ამ ზღაპრულ სიძვირის დროს რამდენს ვაკეთებდა მეტათ მწელი საქმე, მაგრამ მიუხედავად ამისა თემები მაინც შეუდგენდნენ სხვა და სხვა საზოგადოებრივ და კულტურულ შუშობას.

ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება წინ დღევანდელ დროს საზოგადოებაში მშობობას. უპირველესს მიზეზად ჩემის აზრით ჩაითვლება ის, რომ ერობის მნიშვნელობა არ იცის არა მარტო მასამ, არამედ თვით ამ ასპარეზზე სამოღვაწეოთ მოგლიწნებულმა რჩეულმა პირმა. როგორც მოკვსენებათ ჩვენს მთავრობას აქვს შემოღებული ერთნაირი გადასახადი: ერთდროული მიწის და საინტარული. პირველად, როცა მთავრობამ ეს ორი გადასახადი შემოიღო, დიდი უმეყოფილობა დაიბადა ხალხში: რისთვის დემოკრატიული მთავრობა აძლევს თავის თავს ნებას, რომ თავისუფლების შემდეგ კიდევ სხვა და სხვა გადასახადებით დასაჯოს ხალხი. ეს სიტყვები ვაღმოსროლილი იყო მასამ იმ პირებისთან, რომელნიც შეგნებულათ ხვეწენ პროკოვაციის აღში თავისუფლების მოტრფილვე დემოკრატისა, და კიდევ იმთავანაც, ვინც შეუგნებულათ უწყებს კრიტიკას მთავრობის მოქმედებას, მაგრამ საბედნიეროდ ეს ვალეგებრობის ჭაობი ამოწარა და ხალხი დარწმუნდა ამ ორ გადასახადის დასახდის აუცილებლობაში. ამ გადასახადების მოჭრებას აწარმოებდა

თემების გამგეობები. ეს დიდი სამსახური, მაგრამ მარტო ამით გამგეობის მოღვაწეობის შემთხვევაში არ განისაზღვრება. გამგეობა ამასთანავე უნდა ვეწოდეს კულტურულ ეკონომიურ საქმიანობას. მაგალითად თუ რომელიმე თემს უნდა ვაკეთოს სახალხო სახლი, სკოლის შენობა ან საექიმო პუნქტისათვის ბინა და სხვა მან უმჯველში უნდა დაბეგროს თავის ამჩრელები და ამ გზით შეკრიბოს საჭირო თანხა. ამ დროს საზოგადოების შეუგნებელი წევრები სტებენ განგაშს მთავრობის და ერობების საინაღმდეგოთ: აკი გვეუბნებოდნენ მეტი გადასახადი არ იქნება გარდა მიწის და საინტარულის და რას ჰგავს ეს, რომ შენობის ასაგები ფულები ჩვენთვის ვაუწერიოთ. ასეთი უკუღობროვაციის განგა სოფლად მოსალოდნელი იყო, მაგრამ ისიც გვრწამდა, რომ ამის ძირის ამოგდები პირები ჩვენ მოგვეპოვებოდა ხმოსნების სახით. საუბედურათ ეს ასე არ ხდებდა. ზოგი საბჭოს წევრი, რომელიც საბჭოს ამო თუ იმ ვაღაწყვეტილებას ხელს აწერს, ის ფართე მასსამი, თუ დაინახეს, რომ მასსა არ უთანაუგებანობს საბჭოს დადგენილებას, ვადლის ხალხის მხარეზე, უარყოფს საბჭოს დადგენილებას და ამ რიგად იმარტლებს თავს: მე პირად ვინაღმდეგი ვიყავი ამ გვარი დადგენილების გამოტანის, მაგრამ უმრავლესობამ ხმოსნისამ ასე ინებაო. ჩემის აზრით ეს ისეთი დანაშაულის ჩაღება, რომლის ვამოსყიდვა შეტად მწელია. ასეთი სენით შეპყრობილნი არიან არა ერთი და ორი თემი, არამედ ასეთ მოკლებებს ხშირად აქვს ადგილი სხვა და სხვა თემებში. ასეთ ვარემოებას უნდა აქვეყნეს ყურადღებას, როგორც პრეზიდენტი, ისე გამგეობა, უნდა უხსნიდეს ასეთს ხმოსნებს თუ რა მოვალეობას იტისრებს მას ხმოსნობა და თუ როგორ უნდა დაუქიროს მხარი ამო თუ იმ საბჭოს დადგენილებებს მასსამი ვასატარებლად.

საჭამასრედა.

ქითხვა—პასუხი.

ქითხვა.— ძველ დროში საზოგადოების „პროკოვორით“ აძევებდნენ სოფლიდან მანენ ელემენტებს, დღეს თუ შეიძლება და ან როგორ შეიძლება, რომ ერობის საზოგადოებას ასეთი მანენ პირი და ის იქნას ვამეყვებული იმ სოფლიდან?

პასუხი.— რადგანაც საზოგადოების ყოლობის აღიგი დაიჭირა თემის საბჭომ, ამიტომ საზოგადოების „პროკოვორი“ ანუ დადგენილება ვაუქმებულათ უნდა ჩითხვალოს საზოგადოათ. აქედან

ცხადია საზოგადოების „პრივილეგიით“ მანვე ელემენტის გამოყენება სოფლიდან ყოველად შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, როცა მანვე ელემენტები გასაძევებელია იმა თუ იმ სოფლიდან, საჭიროა შემდეგი წესების დაცვა: სოფელში უნდა მიმართოს თემის გამგეობას და მის განკარგულებაში არსებული საბუთებით მოსახლეობას მას მანვე პირის დაუყონებლივ დარყვევება. თემის გამგეობა ვალდებულია სასწრაფოდ დატყვევოს ასეთი პირი და წარმოუდგინოს მახრის მილიციის უფროსს შესაფერი ოქმით. მახრის მილიციის უფროსი მოათავსებს ტყვეს სატუსალოში თავის განკარგულებაში და აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შეამდგომლობას, რომ ტყვეობის ვალდებულებას ტუსადს ორ წლამდე დაბრუნებული კრების დეკრეტის თანახმა შინაგან საქმეთა მინისტრი მოახდენს სათანადო განკარგულებას, რომ სოფლის მიერ ამ წესით დატყვევებული მანვე პირი იჯდეს ციხეში ორ წელიწადს. — ამ ვადის განმავლობაში რესპუბლიკა გამოსცემს განსაკუთრებულ კანონს მანვე პირთა გადასახლების შესახებ, რომელიც უპიკველში უნდა გავრცელდეს ყველა ამ წესით დატყვევებულ მანვე ელემენტებზე. დღევანდელ პირობებში მხოლოდ ასეთი წესის დაცვით შეიძლება გაიწმინდოს სოფელი მანვე ელემენტებისაგან.

ნაშე შეამდგომლობას, რომ ტყვეობის ვალდებულებას ტუსადს ორ წლამდე დაბრუნებული კრების დეკრეტის თანახმა შინაგან საქმეთა მინისტრი მოახდენს სათანადო განკარგულებას, რომ სოფლის მიერ ამ წესით დატყვევებული მანვე პირი იჯდეს ციხეში ორ წელიწადს. — ამ ვადის განმავლობაში რესპუბლიკა გამოსცემს განსაკუთრებულ კანონს მანვე პირთა გადასახლების შესახებ, რომელიც უპიკველში უნდა გავრცელდეს ყველა ამ წესით დატყვევებულ მანვე ელემენტებზე. დღევანდელ პირობებში მხოლოდ ასეთი წესის დაცვით შეიძლება გაიწმინდოს სოფელი მანვე ელემენტებისაგან.

მორი უნდა აღსდგას და კვლავ ქართლის გულატი გახდეს.

მდგომარეობა თქვენი უამოტიურლებით

საქართველოს რევოლუციური კომიტეტი

ოჯურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის
განკარგულებით ერობის გამგეობასთან

უესდგა
„გორის ფონდის“

საზარო კომიტეტი, რომლის წინადადებით უველა
თემის გამგეობასთან არსდება სხათემა კრებულსებებ.

უამოტიურლებას მიიღება ფულით
და ნივთებით.

ს დ რ ზ ა მ ც მ დ რ ზ რ ე ზ რ ე ზ ' 9 2 0 0 8 8 2 7 2 8 6 9 9 0 0 8 8 0